

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო კონფერენცია:
(კომუნიკაციური) ინტერაქციების პრინციპები

აბსტრაქტები

26 ივნისი, 2018
თბილისი

Ilia State University
International Conference:
PRINCIPLES OF (COMMUNICATIVE) INTERACTIONS

Abstracts

26 June, 2018
Tbilisi



კონფერენცია ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (№MG_CG_05 პროექტის
„კომუნიკაციური უნარებისა და ენის დაუფლების ხელშეწყობა
ბავშვებში“ ფარგლებში).

ISBN 978-9941-18-304-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

(კომუნიკაციური) ინტერაქციების პრინციპები

დღის განრიგი

9:00 – 9:30 – რეგისტრაცია

9:30 – 9:40 – მისალმება: პროფ. ნინო დობორჯგინიძე, პრორექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

9:40 – 10:00 – იან პიტერსი, გენტის უნივერსიტეტი, ადრეულ წლებში ინოვაციების ცენტრის დირექტორი „ადრეული ინტერვენციის ხარისხის კვლევის შედეგები და რეკომენდაციები უმაღლესი სასწავლებლებისთვის“

10:00 – 10:10 – დისკუსია

შესავალი, ლექცია, აქტივობები და დისკუსია – პროფ. სიმა გერბერი – ტიპური განვითარების მოდელების გამოყენება აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევების გასაგებად: ფოკუსი ენის განვითარებასა და ინტერვენციაზე.

დისკუსიის მონაწილეები: სიმა გერბერი, რახელ იიფატი, სარა ზადუნაისკი-ერლიხი

12:00 – 12:30 – ყავის შესვენება

12:30 – 14:00 – მეორე სესია:

ლექცია, აქტივობები და დისკუსია – პროფ. რახელ იიფატი, სარა ზადუნაისკი-ერლიხი Ph.D – ემერჯენტული წიგნიერება პატარა ბავშვებში: გაზიარებული კითხვა, როგორც დიალოგის აღმოცენებისა და წიგნიერების უნარების განვითარების სივრცე.

დისკუსიის მონაწილეები: სიმა გერბერი, რახელ იიფატი, სარა ზადუნაისკი-ერლიხი

14:00 – 15:00 – სადილი

15:00 – 16:20 – მესამე სესია:

პანელს და დისკუსიას წარუძღვება პროფ. თამარ გაგოშიძე.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ირინე დოლაძე – ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების ექსპრესიული ენის ნეიროფსიქოლოგიური და ლინგვისტური მახასიათებლები

თამარ გაგოშიძე – ენისა და კომუნიკაციური დარღვევისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევის დიაგნოსტიკური პრობლემები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ცინცაძე, ირინე ლობჯანიძე – ინტერდისციპლინური მიდგომა ენისა და მეტყველების თერაპიის პროფესიის განვითარებისადმი საქართველოში

დისკუსიის მონაწილეები: თამარ გაგოშიძე, შორენა მამუკაძე, ირინე დოლაძე, თინათინ ჭინჭარაული, ირინე ლობჯანიძე, ნინო ცინცაძე.

16:20 – 16:30 – კონფერენციის დახურვა

PRINCIPLES OF (COMMUNICATIVE) INTERACTIONS

Agenda

9:00 – 9:30 Registration

9:30 – 9:40 – Welcome remark – Prof. Nino Doborjginidze, vice rector ISU.

9:40 – 10:00 – Jan Peeters, Ghent University, Director of the Centre for Innovation in the Early years “Findings of the Study on ECE Quality in Georgia and recommendations for higher education institutions”

10:00 – 10:10 – discussion

10:10 – 12:00 – 1st Session:

Introduction, lecture, activity and discussion lead by Prof. Sima Gerber – Using Models of Typical Development to Understand the Challenges of Children on the Autism Spectrum: Focus on Language Development and Intervention.

Discussion participants: Sima Gerber, Rachel Yifat, Sara Zadunaisky-Ehrlich

12:00 – 12:30 – Coffee break

12:30 – 14:00 – 2nd Session:

Lecture, activity and discussion lead by Prof. Rachel Yifat, Sara Zadunaisky-Ehrlich Ph.D - Emergent literacy in young children: Shared reading as a space for the development of dialogue and literacy skills.

Discussion participants: Rachel Yifat, Sara Zadunaisky-Ehrlich, Sima Gerber.

14:00 – 15:00 – Lunch

15:00 – 16:20 – 3rd Session:

Panel presentations and discussion lead by Prof. Tamar Gagoshidze.

Tbilisi State University

I. Dogadze Neuropsychological and linguistic patterns of expressive language in children with speech and language disorder.

T. Gagoshidze Diagnostic issues of language and communication disorder and autistic spectrum disorder.

Ilia State University

Nino Tsintsadze, Irine Lobzhanidze Interdisciplinary approach in provision of SLT profession in Georgia

Discussion participants: Tamar Gagoshidze, Shorena Mamukadze, Irine Dogadze, Tinatin Tchintcharauli, Irine Lobzhanidze, Nino Tsintsadze

16:20 – 16:30 – Closing remarks.

სიმა გერბერი



სიმა გერბერი, კუინს კოლეჯის ლინგვისტიკისა და კომუნიკაციური დარღვევების დეპარტამენტის ენისა და მეტყველების თერაპიის მიმართულების პროფესორი ნიუ-იურკის უნივერსიტეტში. მას აქვს ენისა და მეტყველების თერაპიის სფეროში აუტიზმის სპექტრისა და განვითარების სხვა სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობის 40-წლიანი გამოცდილება.

სიმა გერბერი არის პროფექტუმის აკადემიის ფაკულტეტისა და ნიუ-იორკის Zero- to-Three ქსელის საბჭოს წევრი. მას წარდგენილი აქვს თავისი პრეზენტაციები აუტიზმის მქონე ბავშვებში ენის დაუფლების, შეფასებისა და ინტერვენციების მიდგომების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ჩინეთში, ჰოლანდიაში, სამხრეთ აფრიკასა და ისრაელში. ბოლო დროს იგი იყო რედაქტორი სტატიისა *თამაშის ძალა და მისი როლი ბავშვის განვითარებაში* ჟურნალისათვის *Topics in Language Disorders* (2017).

სიმა გერბერი არის ამერიკის მეტყველების, ენისა და სმენის ეროვნული ასოციაციის ASHA საპატიო წევრი.

განვითარების ტიპური მოდელის გამოყენება აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სირთულეების გასაგებად: ენობრივი განვითარება და ინტერვენცია

ენის გავებისა და გამონატვის უნარების საფუძველი ჩვილსა და მასზე მზრუნველ უფროსს შორის არსებულ ინტერაქციასაა. ამ პრეზენტაციაში ნაჩვენებია და განხილული იქნება ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომელიც ხელს უწყობს ლინ-

გვისტური სიმბოლოების გაგებისა და გამოხატვის შესაძლო უნარებს. კერძოდ კი, იმ გამოწვევების მაგალითზე, რომლებიც აუტიზმის მქონე ბავშვებს აქვთ, განხილული იქნება კომუნიკაციისა და ენის ისეთი საფუძველმდებარე ელემენტები, როგორებიცაა ჩართულობა, ინტენციურობა და გაზიარებული შინაარსები.

საუბარი იქნება ბავშვის განვითარებისა და ენობრივი განვითარების მოდელისა და ეტაპებზე, რათა გამოიკვეთოს თანამედროვე შეხედულებები განვითარების სირთულეების მქონე ბავშვების ინტერვენციებზე. ნაჩვენები და გაანალიზებული იქნება ენობრივი ჩარევის ამსახველი ვიდეოები. დასასრულ აუდიტორიას მიეცემა საშუალება, პრეზენტაციაში განხილულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშაოს კომუნიკაციისა და ენის განვითარების მიზნები განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ბავშვებისათვის.

Sima Gerber

Sima Gerber, Ph.D, CCC is a Professor of Speech-Language Pathology in the Department of Linguistics and Communication Disorders of Queens College, City University of New York. She has been a speech-language pathologist for over 40 years, specializing in the treatment of children with autism spectrum disorders and other developmental challenges.

Dr. Gerber is on the faculty of Profectum Academy and the Advisory Board of the New York Zero-to-Three Network. She has presented nationally and abroad (China, Italy, the Netherlands, South Africa, Israel) on language acquisition and developmental approaches to assessment and intervention for children on the autism spectrum. Most recently, she edited an issue of Topics in Language Disorders (2017), titled, *The Power of Play and Its Role in Developmental Integration*.

Dr. Gerber is a Fellow of the American Speech-Language-Hearing Association.

Using Models of Typical Development to Understand the Challenges of Children on the Autism Spectrum: Focus on Language Development and Intervention

The origins of the ability to comprehend and produce language are found in the early interactions between the caregiver and the child. In this presentation, the key ingredients that contribute to the eventual ability to understand and produce linguistic symbols will be explained and illustrated. In particular, the importance of the foundations of communication and language, such as engagement, intentionality, and shared meanings, will be discussed relative to the typical challenges experienced by children on the autism spectrum.

Models and stages of child development and language development will be introduced in order to frame contemporary views of intervention for children with developmental challenges. Videos of language intervention will be shown and analyzed with the audience. Finally, the participants will have an opportunity to 'practice' using the information presented to develop communication and language goals for children at varying levels of development.

პროფ. რეიჩელ იიფატი



პროფ. რეიჩელ იიფატი არის ჰაიფას უნივერსიტეტის კომუნიკაციური მეცნიერებებისა და დარღვევების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

2014-2017 წლებში იყო ამავე დეპარტამენტის უფროსი.

მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა კომუნიკაციის დისკურსული ანალიზი, უფროსების რეფლექსური გამოთქმები და დისკურსული სტრატეგიები ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან საუბრისას, ასევე, პერცეპტული კონტექსტის როლი კომუნიკაციაში. მისი ბოლო სამეცნიერო პუბლიკაცია ეხება ალქმით კონტექსტსა და ინდივიდუალურ განსხვავებებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენის დაუფლებაში. დაბეჭდილია: *Journal of Experimental Child Psychology* 142 118-136. 2016.

ის არის სხვადასხვა კვლევითი პროექტის მონაწილე. მათ შორისაა ისრაელის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევა – *გაძლოლა, ენა და კითხვის წინა უნარები სკოლამდელი ასაკის ბავშვებში*.

რეიჩელ იიფატს აქვს სწავლებისა და კლინიკური სუპერვიზიის 30-წლიანი გამოცდილება.

Prof. Rachel Yifat

Prof. Rachel Yifat, Ph.D, is a senior lecturer in the Department of Speech-Language and Communication Disorders in Haifa University, Israel.

Her field of interests are discourse analyze of interactions, reflexive expressions as discourse strategies in teachers' talk, role for perceptual

context for children with specific language impairment. Her recent publication is about Perceptual context and individual difference in the language proficiency of preschool children, published in Journal of Experimental Child Psychology 142 118-136. 2016.

She participates in different research projects -Anchoring, language and literacy in the preschool years for Israeli Science Foundation is among them.

Rachel has been working over the last 30 years as teacher and clinical supervisor in area of communication development in children with special needs. In 2014-2017 she was head of department of communication science and disorders at University of Haifa.

სარა ზადუნაისკი-ერლიჰი



სარა ზადუნაისკი-ერლიჰი, Ph.D, არის ბაით ბერლის აკადემიური კოლეჯის უფროსი მასწავლებელი და ლექტორი ჰაიფას უნივერსიტეტის ენა-მეტყველებისა და კომუნიკაციური დარღვევების დეპარტამენტში.

მისი ინტერესის სფეროებია: საშუარო თანატოლებს შორის, ბავშვისა და უფროსის ინტერაქციები და წიგნიერების წინარე უნარების განვითარება. სარა მონაწილეობდა სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის კომუნიკაციისა და ენის განვითარების ეროვნული ჩარევის პროგრამის განვითარებაში, რომელიც შემდეგ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა ენობრივი პროგრამების პროტოტიპი გახდა.

მისი ახლანდელი კვლევითი პროექტი უკავშირდება წერთი უნარების წინაპირობებს დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებში.

სარას აქვს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან წიგნიერების უნარების განვითარებაზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება, რომელიც ფოკუსირებულია ენა-მეტყველების თერაპევტებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

Sara Zadunaisky Ehrlich

Sara Zadunaisky Ehrlich, Ph.D, is a senior lecturer in Beit Berl Academic college and lecturer in the Department of Speech-Language and Communication Disorders in Haifa University, Israel.

Her field of interests are peer talk, adult-child interactions, and literacy development. Sara participated in the development and training teams of a national intervention program for developing

language and communication among hearing impaired children, which served as a prototype language program for children in special education.

Her current research project is about predictors of written expository texts in elementary school children.

Sara has been working over the last 20 years in literacy intervention and literacy development in children with special needs, focusing on collaboration between speech language clinicians and educators.

რეიჩელ იიფატი, სარა ზადუნაისკი-ერლიჰი „კითხვის წინარე უნარები პატარა ბავშვებში: გაზიარებული კითხვა დიალოგისა და წიგნიერების უნარების განვითარების სივრცე“

ბავშვები, რომლებიც წიგნიერ საზოგადოებაში იზრდებიან, ავლენენ ნაწერებისა და ტექსტების მიმართ ინტერესს. ისინი იქცევიან ისე, თითქოს კითხულობენ ან წერენ და იგონებენ საკუთარ დამწერლობას. ეს ფენომენი, რომელიც ცნობილია კითხვის წინარე უნარების (წიგნიერების უნარების) სახელწოდებით, თავს იჩენს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან და ეს მიჩნეულია იმ საფუძვლად, რომელზეც ბავშვების ლინგვისტური წიგნიერების უნარებია დაფუძნებული. ეს პრეზენტაცია ყურადღებას ამახვილებს წიგნების გაზიარებულ კითხვაზე, რომელიც სკოლამდელ ასაკში წიგნიერების უნარების განვითარების წამახალისებელ მნიშვნელოვან საქმიანობად მიიჩნევა. წიგნების გაზიარებული კითხვა გაანალიზებული იქნება განმეორებადი და დიალოგური კითხვის პროცესისას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება კომუნიკაციისა და ენის პრინციპების მანიფესტირება კითხვის ამგვარ აქტებში. გარდა ამისა, ჩვენ გავაანალიზებთ საბავშვო წიგნების სხვადასხვა ტექსტს და განვიხილავთ ამ ტექსტებთან ურთიერთობის სხვადასხვა გზას. ჩვენი მიზანია, ამგვარი განხილვით გამოვკვეთოთ ადრეული განათლების პედაგოგებისა და ენა-მეტყველების თერაპევტების მნიშვნელოვანი როლი, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ ენობრივი და წიგნიერ-

ბის უნარების გამდიდრებაში, თუ ბავშვებს ამგვარ ძლიერ და გავლენისმომხდენ ინსტრუმენტებს შესთავაზებენ.

Rachel Yifat, Sara Zadunaisky-Ehrlich, Emergent literacy in young children: Shared reading as a space for the development of dialogue and literacy skills

Children who grow up and participate in literate societies show interest in the written marks and texts with which they interact, pretending to act as readers or playing with the written language by inventing their own writings. This phenomenon, known as Emergent Literacy begins long before children are formally taught to write or read, and is regarded as the foundation upon which children's linguistic literacy abilities are built. This presentation focuses on shared book reading, which has been regarded as an important activity to promote emergent children's literacy skills during preschool years. Shared book reading will be addressed through the analysis of repeated and dialogic book reading activities that illustrate how principles of language and communication are manifested in these reading acts. In addition, we will analyze different texts in children's storybooks and discuss ways of interacting with these texts. In this way we aim to gain a better understanding of the important role of preschool teachers and speech-language clinicians fulfill in providing powerful settings for facilitating linguistic growth and emergent literacy knowledge.

ირინა ლობჯანიძე



ირინა ლობჯანიძე, Ph.D., ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ლინგვისტიკის მიმართულებით. ამჟამად მისი კვლევითი ინტერესი უკავშირდება ბუნებრივი ენის დამუშავებას და კომპიუტერული საშუალებების გამოყენებას იმ ენებთან, რომლებსაც, ქართულის მსგავსად, მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა ახასიათებს. მუშაობდა თანამედროვე ქართული ენის კომპიუტერული მოდელის შექმნაზე, რომელიც განხორციელდა სასრული პოზიციის გარდამქმნელის სახელით ქსეროქსის კალკულუსის გამოყენებით. აღნიშნული რესურსი გამოყენებული იყო თანამედროვე ქართული ენის კორპუსის ანოტირებისათვის.

ადრინდელი კვლევითი ინტერესი უკავშირდებოდა ქართული იდიომების მორფოსინტაქსური თვისებების კვლევასა და მათი „გაყინვის“ დონის შესწავლას. ასევე, მონაწილეობას იღებდა იდიომური გამოთქმების ბილინგვური ონლაინ ლექსიკონის შექმნაში.

ენის ათვისება და კომპიუტერული ენათმეცნიერება

ენის ათვისების კვლევის ამოცანის კომპლექსურობიდან გამომდინარე ინტერდისციპლინარული მიდგომა გულისხმობს ისეთი დისციპლინების გადაკვეთას, როგორცაა განათლება, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება და სხვა. ამ მხრივ, საზღვარგარეთ განხორციელებული კვლევების უმეტესობა ორიენტირებულია ევროპული ენების შესწავლაზე სხვადასხვა მიდგომის გათვალისწინებით, მათ შორის განიხილება, წმინდა ექსპერიმენტული, ენის სწავლებაზე ორიენტირებული ანოტირების სხვადასხვა სქემის მქონე კორპუსებისა და ენის სწავლებაზე ორიენტირებული დიგიტალური გარემოს შექმნისკენ მიმართული მიდგომები. ყველა აღნიშნული მიდგომა გულისხმობს კომპიუტერული მეთოდების ინტეგრირებას სწავლა-სწავლების მექანიზმების კვლევაში და ნათელი ხდება, რომ ენის

ათვისების კვლევა უკავშირდება კომპიუტერული ენათმეცნიერების მიღწევებს. თუმცა, ზემოხსენებული პერსპექტივებიდან გამომდინარე, თანამედროვე ქართული ენა ნაკლებად არის შესწავლილი.

თანამედროვე ქართული ენა განეკუთვნება მორფოლოგიურად მდიდარ ენათა რიგს. ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის აღწერა გულისხმობს არა მხოლოდ ფლექსიკური კატეგორიების, ზმნური და სახელური პარადიგმების ელემენტების აღწერის შესაძლებლობას, არამედ დიდი რაოდენობის წესიერი, ნაწილობრივ წესიერი და არაწესიერი ფორმების არსებობას და კავშირს სხვადასხვა ელემენტის გამოყენებას შორის. შესაბამისად, ქართული ენის მორფოლოგიურად მდიდარი სტრუქტურა სიტყვაში გულისხმობს სხვადასხვა დონის ინფორმაციის არსებობას და ზეგავლენას ახდენს ენის დამუშავებაზე, კერძოდ, ლექსიკონების შედგენაზე, ანოტირების სქემების შემუშავებაზე და, რასაკვირველია, კომპიუტერულ მიდგომებზე, რომლებიც გამოიყენება ენის ათვისებასთან ასოცირებულ კვლევებში.

აღნიშნული მოხსენება მოიცავს ინფორმაციას ლინგვისტური კვლევათა ინსტიტუტის მიერ როგორც განხორციელებულ, კერძოდ, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორისა (პროექტი № AR/320/4-105/11) და იდიომური გამოთქმების ონლაინ ლექსიკონის (პროექტები № Y-04-10, № LE/17/1- 30/13) პროექტებზე, ასევე მიმდინარე კვლევებზე რომლებიც ორიენტირებულია პროსოდული სიტყვის ფონეტიკურ ანალიზზე ბავშვის მეტყველებაში.

Irina Lobzhanidze

Irina Lobzhanidze, Ph.D, Associated Professor of linguistics at Ilia State University. Currently her main research interests focus on natural language processing and application of computer systems to the languages with rich morphology like Georgian. She was working on the computational model of Modern Georgian language implemented as a finite-state transducer (Xerox Calculus, especially, xfst and lexc) within the framework of project AR/320/4-105/11 financed by the

Shota Rustaveli National Science Foundation. Providing annotation to the Corpus of Modern Georgian Language (available at <http://corpora.iliauni.edu.ge/>) by means of Morphological analyser, She paid special attention to the fact of borrowings from Russian into Georgian and the language

changes caused by Soviet ideology at the different levels. Past research investigated the morphosyntactic features of Georgian Idioms and degree of their "frozenness". Also, she participated in the project aiming at compiling an online dictionary of idioms for Georgian – Modern Greek and Modern – Greek Georgian.

Language Acquisition and Computational Linguistics

A lot of investigations implemented abroad provided studies of European languages from different perspectives including pure experiments, compilation of learner corpora with different kind of annotation schemata and development of digital learning environments. All these perspectives integrated computational methods into the research of learning mechanisms and it became clear that researches in the field of language acquisition are closely connected to computational linguistics. At the same time, Georgian language has not been thoroughly studied from these perspectives.

The Modern Georgian language belongs to morphologically rich languages. Descriptions of Georgian morphological structure emphasize large number of inflectional categories; the large number of elements that verb or noun paradigms can contain; the interdependence in the occurrence of various elements and the large number of regular, semi-regular and irregular patterns. It means that the morphologically rich nature of Georgian expresses different levels of information at the word level and affects a compilation of dictionaries, development of annotation schemata and, generally, use of computational approaches in the researches associated with language acquisition.

Present talk focuses on the implemented and ongoing projects of the Institute of Linguistic Research is subdivided into two parts: a) projects already implemented as the morphological analyzer of Modern Georgian Language (Project No AR/320/4-105/11) and the

On-line Dictionary of Idioms (Projects No Y-04-10, No LE/17/1-30/13) and b) ongoing projects, especially, those dedicated to the phonetic analysis of prosodic words in children's word production.

ნინო ცინცაძე



ნინო ცინცაძე, Ph.D, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აქვს ადრეული ჩარევისა და ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სფეროში მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. მისი თანაავტორობით გამოსული პუბლიკაციები უკავშირდება ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლებისა და ადრეული ენის განვითარების ხელშეწყობის საკითხებს.

2014 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოში კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროფესიის განვითარებაზე მიმართულ პროექტებს.

პანელურ მოხსენებაში ნინო ცინცაძე მოკლედ მიმოიხილავს იმ მიღწევებსა და გამოწვევებს, რაც საქართველოში კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროფესიის განვითარებას უკავშირდება. მისი საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება სფეროს განვითარებისათვის ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და კვლევების მნიშვნელობაზე.

Nino Tsintsadze

Nino Tsintsadze, Ph.D, Associate Professor in Ilia State University. Head of ISU Communication, Speech and Language Therapy Master Program.

She has been working over 12 years in field of early intervention and inclusive early and preschool education. She is a co-author of several manuals and textbooks which deals with issues of early education and early communication.

Since 2014 until today, she oversees the projects related to the development and enhancement of communication, speech and language therapy profession in Georgia.

In the panel presentation Nino Tsintsadze will review achievements and challenges related to the development and enhancement of the Communication, Language and Speech Therapy profession in Georgia. She will stress importance of interdisciplinary collaboration and research in this regard.

თამარ გაგოშიძე



თამარ გაგოშიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო

ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი. ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის პრეზიდენტი, ნევროლოგიის და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანადამფუძნებელი, თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი.

მისი კვლევის ინტერესებია: ენისა და კომუნიკაციის განვითარების დარღვევების ნეიროფსიქოლოგიური პროფილების შედარებითი ანალიზი, კითხვის და მათემატიკური უნარების განვითარების ნეიროფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა, გონების თეორიის კვლევა, ბავშვთა ადრეული მიჯაჭვულობისა და კოგნიტური განვითარების კავშირი, მშობლების ბავშვთან ურთიერთობის გავლენის შესწავლა ენისა და კომუნიკაციის განვითარებაზე, ბავშვის ადრეული ემოციური განვითარების გავლენის კვლევა მის კოგნიტურ განვითარებაზე, თვითკონტროლისა და თვითრეგულაციის ნეიროფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა.

თ. გაგოშიძის ხელმძღვანელობით ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო 7-მა დოქტორანტმა.

თ. გაგოშიძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების განათლებაში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ინკლუზიური განათლება, ბავშვთა ადრეული ინტერვენცია, ენისა და მეტყველების განვითარების ხელშეწყობა ბავშვებში, პოზიტიური მშობლობა და ა.შ.

ენისა და აკომუნიკაციის დარღვევისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის დიაგნოსტიკური პრობლემები

უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ისეთი ბავშვების რაოდენობა, რომელთა ენისა და კომუნიკაციის განვითარების დარღვევა არ ჯდება ხოლმე რომელიმე მკაფიო დიაგნოსტიკურ კატეგორიაში. ასეთ „გაურკვეველ“ შემთხვევებს ხშირად აღენიშნება როგორც ენისა და მეტყველების ტიპური განვითარების დარღვევის, ასევე აუტისტური სპექტრის აშლილობისთვის დამახასიათებელი პატერნები. განსაკუთრებით ეს ეხება რეცეპტული ენის განვითარების დარღვევის მქონე შემთხვევებს.

პრეზენტაციაში განხილულია ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის ტიპური და ატიპური პატერნები, ცენტრალური აუდიტორული გადამუშავების, სოციალური/პრაგმატული კომუნიკაციის დარღვევის მოდელები, ენისა და კომუნიკაციის დარღვევების სხვადასხვა ფენოტიპური გამოვლინებები და მათი დიფერენცირების მცდელობა.

Tamar Gagoshidze

Tamar Gagoshidze, Professor, Dean of the Faculty of Psychology and Educational Sciences at the I. Javakhishvili Tbilisi State University, head of Teaching and Research Institute of Cognitive Science and Neuropsychology at the Department of Psychology. She is a president of Psychometric and Consultation Association, co-founder of the Institute of Neurology and Neuropsychology, founder of Tamar Gagoshidze Neuropsychological Center.

Prof. Tamar Gagoshidze is interested in:

comparative analysis of neuropsychological profiles of speech and language developmental disorders –

neuropsychological aspects of the reading and math skills development –

theory of mind –

relationship between early attachment and cognitive development –
the influence of the child-parent interaction on the language and communication development –

the influence of the emotional development on the cognitive development –

neuropsychological aspects of self-control and self-regulation –

Tamar Gagoshidze has supervised 7 Ph.D research students.

Tamar Gagoshidze is actively involved in the society's education in such topics as inclusive education, early intervention, facilitating speech and language development in children, positive parenting and so on.

Diagnostic issues of language and communication disorder and autistic spectrum disorder

Recently the number of children, whose language and communication disorder do not fit into any diagnostic category, has been increased. Such “ambiguous” cases show patterns of speech and language disorder and autistic spectrum disorder. This is especially true in case of receptive language disorder.

In the presentation there will be discussed typical and atypical patterns of speech and language developmental disorder, models of central auditory processing, social/pragmatic communication disorder, different phenotypic manifestations of language and communication disorders and attempt of their differentiation.

ირინე დოლაძე



ირინე დოლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის ნე-

იროფსიქოლოგი.

მისი პროფესიული საქმიანობა დაკავშირებულია ფსიქიკური განვითარების სხვადასხვა დარღვევის მქონე ბავშვების კოგნიტური, ქცევითი, ემოციური, სოციალურ-კომუნიკაციური სფეროების შეფასებასთან, ინტერვენციის გეგმის შედგენასთან და მათთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობასთან. აგრეთვე ბავშვების მშობლების, აღმზრდელების, მასწავლებლების ფსიქოგანათლებასთან, მათთვის რეკომენდაციების მომზადებასთან: რთული ქცევის მართვისა და ბავშვთა უნარების განვითარების საკითხებზე აკადემიური გარემოს მორგების თვალსაზრისით.

მისი კვლევის ინტერესებია ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მეტყველებისა და კომუნიკაციის შედარებითი ნეიროფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი. კომუნიკაციური სტრატეგიების ანალიზი მეტყველების ტიპური და ატიპური დარღვევების მქონე ბავშვებში.

ექსპრესიული ენის სპეციფიკური დარღვევის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი ქართულენოვან ბავშვებთან

კვლევის მიზანი იყო ექსპრესიული მეტყველების დარღვევის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი ქართულენო-

ვანი ბავშვების პოპულაციაში; ექსპრესიული ენის დარღვევის ნეიროლინგვისტური ანალიზი. კვლევაში მონაწილეობდნენ ექსპრესიული ენის დარღვევის და ნორმალურად განვითარებული მეტყველების მქონე 4-6 წლის ბავშვები, სულ 40 მონაწილე. ბავშვების მეტყველება ფასდებოდა ფორმალური ტესტირებით და თავისუფალი თამაშით არაფორმალურ სიტუაციაში.

ორი ჯგუფის მონაცემთა შედარებით გამოვლინდა, რომ ენის ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ენის დარღვევის მქონე ბავშვებისგან შემდეგი ფაქტორების მიხედვით: არტიკულაციური, ფონოლოგიური, სინტაქსური შეცდომები, გამონათქვამის სიგრძის მაჩვენებელი, შეცდომების საერთო რაოდენობა (ძირითადი შეცდომები დაკავშირებული იყო სწორედ სინტაქსურ შეცდომებთან, ბგერათა არტიკულაციასთან, უჭირდათ რთული წინადადებების წარმოება და ა.შ). მოცემული ჯგუფების შედარებისას არ გამოვლინდა თვისებრივი განსხვავება. ორივე ჯგუფი მსგავსი ტიპის შეცდომებს უშვებდა, განსხვავდებოდა დაშვებული შეცდომების რაოდენობა.

მონაცემთა რეგრესული ანალიზით გამოვლინდა, რომ გამონათქვამის სიგრძისა და მთლიანი პროდუქციის მიხედვით შეგვიძლია, ვიწინასწარმეტყველოთ შეცდომების ტიპები.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემის ინტერპრეტაციის შედეგად შეგვიძლია, გავაკეთოთ ორი ზოგადი დასკვნა: 1) ექსპრესიული ენის დარღვევის დროს სამეტყველო უნარის ათვისება დროში გახანგრძლივებულია და ის არ წარმოადგენს ენის ატიპური განვითარების დარღვევას; 2) ექსპრესიული მეტყველების დარღვევის დროს გამოვლენილ დეფიციტთა პროფილი დამოკიდებულია კონკრეტულ ენაზე და ასევე, ბავშვისადმი მიმართულ მოთხოვნებზე.

ქართულენოვან ბავშვებში Levelt-ის კოგნიტური მოდელის მიხედვით დეფიციტურ რგოლს წარმოადგენს გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირების საფეხური და დამატებით ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური.

Irine Doghadze

Irine Doghadze, doctoral student of clinical neuropsychology doctoral program at I.Javakhishvili Tbilisi State University. She is a neuropsychologist at the Tamar Gagoshidze Neuropsychological Center.

Her professional practice relates to cognitive, behavioral, emotional and social-communicative assessment, intervention planning and individual and group work with children with developmental disabilities. Also she conducts psycho-education and consultation of parents, caretakers and teachers in the problem behavior management, child's skills development, adjustment of academic environment.

Irina Doghadze's research interests are:

comparative neuropsychological and linguistic analysis of speech and –

communication among children with speech and language developmental disorder and autistic spectrum disorder. analysis of communicative strategies of children with typical and atypical speech disorders –

Neuropsychological and linguistic analysis of Expressive Language Disorder among Georgian speaking children

Language and speech acquisition is the unique attribute defining the human essence and having impact on many areas of its functioning. Notably, Language and speech disorder is a heterogeneous group. In addition to the degree of the disorder, differences may also be applied to the profile of deficiency symptoms and underlying mechanism. Naturally, accurate diagnosis is important to ensure the right intervention. There is a view, that the specific characteristics of language influence disorder's symptom profile. there are researches confirming that different symptom profile for the different languages is created during the language disorder and depends on the difficulty and requirements of the language itself.

The aim of the research was neuropsychological and linguistic analysis of the language characteristics of Georgian - speaking children (For children with normally developed language speaking and for children with Specific Language Impairment). The participants of the Research were: children with normally developed language (20 children) and Children diagnosed with specific language Impairment (20 children). The age of the participants were 4-6 years. The initial processing material was the sound recording of a child's speech (on an audio recorder). Later, this recording was converted to the written speech sample. The final stage was to process the neuropsychological and linguistic analysis of the speech sample.

Children with normal language development significantly differ from those with language disorder by the following factors: Articular ($t(38) = -4,65, p < 0,001$), phonological ($t(38) = -2,48, p < 0,05$), syntactic mistakes ($t(38) = -3,67$), phrase length rate ($t(38) = 3,62, p = 0,001$), total number of mistakes ($t(38) = -5,36, p < 0,001$); In addition, the group comparison did not show any qualitative differences. Both groups made similar mistakes, Difference was the quantity of mistakes they made.

Language disorder symptoms differ for various languages and depend on those language components, which are specifically difficult for a particular language. The results obtained can be precisely explained in the context of Georgian language. Notably, difficult phonology, syntax and articulation and prospective of producing complex sentences is characteristic for Georgian language (Main mistakes related to syntax errors, articulation of sounds, it was hard for them to produce complex sentences). This is what Georgian linguists spoke about. Children with expressive language impairment have typical language, but mastering the language takes a longer time; Accordingly to Levelt's cognitive model of language we can conclude that for Georgian speaking children the main problems are on the stage of grammatical encoding, phonological encoding and then on the stage of articulation.

მარიამ ხვადაგიანი



მარიამ ხვადაგიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის ნეიროფსიქოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

მისი კვლევის ინტერესებია: ენისა და კომუნიკაციის განვითარების დარღვევების ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი, აუტიზმის სპექტრის დროს კომუნიკაციის თავისებურებების ანალიზი, ყრუ და სმენის დარღვევის მქონე ბავშვების დასწავლის სტრატეგიების ანალიზი.

მ. ხვადაგიანი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, რომელიც დაკავშირებულია ინკლუზიურ განათლებასთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სწავლა/სწავლების თავისებურებებთან, ბავშვთა ადრეულ ინტერვენციასთან, ენისა და მეტყველების განვითარების ხელშეწყობასთან ბავშვებში და ა.შ.

Mariam Khvadagiani

Mariam Khvadagiani, doctoral student of clinical neuropsychology doctoral program at I. Javakhishvili Tbilisi State University. She is a neuropsychologist at the Tamar Gagoshidze Neuropsychological Center, invited lecturer at Ilia State University.

Mariam Khvadagiani is interested in: neuropsychological analysis of language and communication disorders, –

analysis of communication features in case of autism spectrum, –

analysis of learning strategies of children with hearing loss or hearing impairment. –

M. Khvadagiani is actively involved in different activities in relation with inclusive education, teaching children with special educational needs, early intervention, supporting speech and language development in children and etc.

შორენა მამუკაძე



შორენა მამუკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი. თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი.

შორენა მამუკაძის კვლევითი ინტერესები უკავშირდება ნეიროფსიქოლოგიას, კოგნიტურ და განვითარების ფსიქოლოგიას და მოიცავს ბავშვების, ხანში შესულებისა და თავის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტების ენისა და მეტყველების კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლას, თავის ტვინის დაზიანებისა და დისფუნქციის რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვების უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების კვლევას, ბავშვის ადრეულ განვითარებასა და აკადემიურ მიღწევებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლას. იგი აქტიურად მუშაობს ქართულენოვანი ბავშვების ენისა და მეტყველების შესაფასებელი ინსტრუმენტის შექმნაზე.

Shorenna Mamukadze

Shorenna Mamukadze, Associative Professor at the Faculty of Psychology and Educational Sciences I. Javakhishvili Tbilisi State University, staff member of the Teaching and Research Institute of Cognitive Science and Neuropsychology at the Department of Psychology, Director of Tamar Gagoshidze Neuropsychological Center.

Shorenna Mamukadze's research interests focused on neuropsychology, cognitive and developmental psychology. She studies cognitive and neuropsychological aspects of speech and language among children, elderly people and patients with brain

damage. Also she is interested in studying of cognitive functions of children who are in the risk-group of brain damage or dysfunction, factors influencing early development and academic achievement. At present she focuses on the development of speech and language assessment instrument for Georgian speaking children.